გადავშენდეგით, თუ გავიზრდეგით?! რეალობა და პროგნოზი

ვაჟა კაკაბაძე,
თეუსუ-ის პროფესორი

დღევანდელი მოვლენები ადასტურებენ, რომ საქართველოსათვის რეგიონული ინტეგრაცია ის კრიტერიუმია, რომელიც უზრუნველყოფს მის ეკონომიკურ უსაფრთხოებას და დაიცავს მას ეკონომიკური იზოლაციის წარმოშობის საფრთხისგან. 2005 წლიდან კავკასიის რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები გააქტიურდა, რაც უსაფრთხოების გარანტი იქნება მასში მონაწილე სახელმწიფოებისათვის.

ეკონომიკური უსაფრთხოების ეროვნულ და რეგიონულ განზომილებას შორის უფრო მჭიდრო კავშირია, ვიდრე, სხვა მაღალ საერთაშორისო განზომილებასთან. ეს გამოწვეულია იმით, რომ რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა გაცილებით ადვილი მისაღწევია იმავე რეგიონულ დონეზე; დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკაში სახელმწიფოების მზარდი ურთიერთდამოკიდებულება უშუალო გავლენას ახდენს (ზოგჯერ აკნინებს) მცირე ქვეყნების პოლიტიკურ ავტონომიაზე, ტრადიციულ ღირებულებებსა და სოციალურ სტრუქტურაზე; ამჟამად, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები ეჭვის ქვეშ აყენებს სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოებისთვის ყველაზე უფრო ძვირფასს – ავტონომიურობას, დემოგრაფიულ ბალანსსა და კულტურულ ღირებულებებს.

ზემოთ აღნიშნულიდან აშკარაა, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს სამ სხვადასხვა ტენდენციას შორის ჭიდილი. **პირველი:** მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ღრმა ინტეგრირება; **მეორე:** რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირება და რეგიონის გარე ეკონომიკურ ურთიერთობათა შენარჩუნება; **მესამე:** ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ვფიქრობ, საქართველომ მეორე და მესამე ტენდენციების შესაძლო ვარიანტები უნდა გათვალოს და სწორედ მასზე ააგოს სამომავლო ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პროგრამა. ამდენად, საქართველოს უსაფრთხოების ცენტრალურ საკითხად გვევლინება, დემოგრაფიული ბალანსის უზრუნველყოფა, ეკონომიკის უწყვეტი ფუნქციონირება, ეკონომიკური სისტემების ისე განვითარება, რომ შიდა საფრთხეებისა და საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება შეეძლოს.

ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს, რომ ეროვნული უსაფრთხოების სამი ძირითადი ელემენტი გამოვყოთ: **პოლიტიკური ავტონომიურობა, ეკონომიკის სტაბილურობა, ქვეყნის დადებითი დემოგრაფიული ბალანსის ჩამოყალიბება-შენარჩუნება.**

პოლიტიკური უსაფრთხოების შენარჩუნების და ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, XXI საუკუნეში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მკვიდრი მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება. ამდენად, აუცილებელია არსებული ვითარების ანალიზი და მისი საპროგნოზო შედეგების გათვლა. სხვა შემთხვევაში შეუძლებელია არა მარტო საქართველოს, არამედ, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკასა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე საუბარი.

2003 წლის აშშ-ს ორგანიზაციის Population Reference Bureau (PRB)-ის ანგარიშის შესაბამისად, **დსთ-ის წევრ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის მკვეთრი ცვლილებებია მოსალოდნელი. განსაკუთრებულ ყურადღებას კავკასიის რეგიონის ქვეყნების პროგნოზი იქცევს. ანგარიშის მიხედვით, 2050 წლისთვის აზერბაიჯანის მოსახლეობა 41%-ით გაიზრდება და 8 მლნ 200 ათასიდან 11 მლნ 600 ათასს მიაღწევს. სომხეთში ამავე პერიოდში, მხოლოდ 4%-ანი ზრდაა მოსალოდნელი და 2050 წელს 3.2 მლნ-დან 3,4 მლნ იქნება.**

PRB-ს შემაშფოთებელი პროგნოზი აქვს საქართველოს შესახებ: ექსპერტები მოსახლეობის 43%-ით შემცირებას ვარაუდობენ, ანუ ამჟამინდელი 4,6 მლნ-დან 2,6 მლნ-მდე დაიწევს.

საყურადღებოა, რომ 1926 წელს სამხრეთ კავკასიაში ქართველები სომხებზე 253 ათასი კაცით მეტი იყო, ხოლო აზერბაიჯანელებზე – 108 ათასით. 1989 წლის აღწერის მონაცემებით, ქართველებს სომხები 107 ათასი ადამიანით აღე-

მატებოდნენ, აზერბაიჯანელები – 1390 ათასით. „გაერო“-ს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციისა და პოლიტიკური ანალიზის დეპარტამენტის შეფასებით, თუ 1990 წელს კავკასიის რეგიონის მოსახლეობაში (თურქეთის გათვალისწინებით), საქართველოს მოსახლეობის წილი 7.5%-ს უდრიდა, 2050 წლისთვის ეს მაჩვენებელი 5%-ზე მეტი არ იქნება. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივ ცვლილებასთან დაკავშირებით არასასიამოვნო მონაცემებს აქვეყნებს ნიუ-იორკის დემოგრაფიული ბიუროც. მათი პროგნოზით, **საქართველოს მოსახლეობა 2025 წელს 3.6 მლნ-ის, ხოლო 2050 წელს კი, 2.5 მლნ-ის ტოლი იქნება**. მაშასადამე, 50 წლის შემდეგ 2000 წელთან შედარებით შემცირდება 1.9 მლნ ადამიანით, ხოლო 1989 წელთან შედარებით 2.9 მლნ ადამიანით.

ეს მძიმე დემოგრაფიული ვითარება და, შესაბამისად, პროგნოზი, ძირითადად განპირობებულია ქვემოთ ჩამოთვლილი შექმნილი და მოსალოდნელი გარემოებებით.

არსებული მდგომარეობა: არასახარბიელო ეკონომიკური ვითარება. ექსპერტთა ანალიზით, ინფლაციის ტემპი 2006 წელს 14,5%-ია (საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით 8%); მოუგვარებელია კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რაც მოსახლეობის დამატებით მიგრაციას იწვევს; ძვირია ბინების ახლადმშენებარე სახლებში შეძენა, გასულ საუკუნეში აშენებული ბინების უმეტესობა დანგრეული ან ავარიულია; მოუგვარებელია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაც.

მოსალოდნელი მდგომარეობა: რუსეთის მხრიდან კონფლიქტის ზონებში ვითარების დაძაბვა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუარესება და ინფლაციის ზრდა; საქართველოს დარჩენილი მოსახლეობის 15% სამუშაოს ძიებას დაიწყებს სხვა ქვეყნებში.



ზემოთ მოყვანილი არსებული და მოსალოდნელი მდგომარეობისა და სხვა ეკონომიკური პარამეტრების ანალიზი მაინც გადამოწმებას მოითხოვს ახალი მიზეზებისა და შექმნილი ვითარების კვალობაზე. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკური მონაცემები და პროგრესიული საშუალოს გამოთვლები დემოგრაფიულ ზრდას გვკარნახობს.

მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა საშუალო არითმეტიკული გათვლებით 1.0017 ანუ 100,1%-ს შეადგენს. ეს გათვლები ადასტურებს, რომ გაეროს 20-წლიანი პროგნოზი მცდარია.

გაერომ თავის დროზე პროგნოზის სამი ვარიანტი შეიმუშავა და სამივე პესიმისტურია. მაგალითად, მისი გათვლებით 2030 წელს საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონზე ქვემოთ უნდა ჩამოვიდეს (თუმცა, ასევე არასახარბიელოა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებიც, მაგრამ, ეს მონაცემები ძირითადად საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციული ფაქტორიდან გამომდინარეობს). ჩვენი გათვლებით, 2020 წელს მოსახლება გაიზრდება და 4467.5 ათასი გახდება.

საქართველოს დემოგრაფიული პროგნოზის განსაზღვრისას აუცილებელია ***დემოგრაფიული დაბერების პროცესისა და სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გათვალისწინება*** (2002-2006 წლების პერიოდი ყველაზე უფრო კარგად ახასიათებს ქვეყნის დემოგრაფიულ აწმყოს და მომავალს).

დემოგრაფიული დაბერების პროცესი საქართველოში. საქართველო დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყანაა. 1997 წლისთვის ყოველი მეექვსე ადამიანი (17,3%) 59 წელს იყო გადაცილებული, ხოლო XXI საუკუნის დასაწყისისთვის კი, ყოველი მეხუთე. ამგვარად, საქართველო აქტიურად დაბერებული ქვეყნების რიგში ჩაეწერა, ყოველივე ეს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე გვაყენებს.

მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულად ითვლება, თუ 60 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქეთა წილი მთელი მოსახლეობის 12%-ია. დაბერების საწყის ასაკად 60 წელი ითვლება. სიბერის ასაკის განსაზღვრა განსხვავებული იყო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში ასაკის პირველ პერიოდიზაციას XI ს-ში ვხვდებით ცნობილი ექიმის **ქანანელის ტრაქტატში „უსწორო კარაბადინი“**, თითქმის იგივე პერიოდიზაციას იმეორებს XV ს-ის ექიმი **ზაზა ფანასკერტელი**. მათი აზრით, სიბერე 52-54 წლიდან იწყება. XXI ს-ში ხანდაზმულ ასაკის ადამიანებად ითვლებიან 74 წელს მიღწეულები, ხოლო 75 წელს გადაცილებულები მოხუცებად (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკა-

ციით), 90 წელს გადაცილებულები კი დღეგრძელებად.

დემოგრაფიული დაბერების პირველი ეტაპი დაკავშირებულია **შობადობის შემცირებასთან**, მეორე – **მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდასთან**.

XIX ს-ში, საქართველოში, დემოგრაფიული დაბერების პროცესი შობადობის შემცირებით დაიწყო. ეს ითვლება **პირველ** ეტაპად, რომელიც გაგრძელდა XX ს-ის 20-იან წლებამდე. 59 წელს გადაცილებულთა ხვედრითმა წილმა 8%-ს გადააჭარბა და დემოგრაფიული დაბერების **მეორე** ეტაპი დაიწყო. გარდაცვლილთა მკვეთრი შემცირების გამო იმატა მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ. ეს იყო დემოგრაფიული ახალგაზრდობიდან დემოგრაფიულ სიბერემდე გარდამავალი პერიოდი. იგი გაგრძელდა 70-იან წლების ბოლომდე.

1970 წლიდან იწყება დემოგრაფიული დაბერების **მესამე** ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება. **იგი მოიცავს მოსახლეობის ბუნებრივ და იძულებით მიგრაციულ პროცესებს და მათთან დაკავშირებულ ახალ სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას**. ამ დროიდან საქართველოს მოსახლეობა გადასცილდა დემოგრაფიული სიბერის ზღვარს (12%), 59 წელს გადაცილებულთა შორის გარდაცვლილთა ზრდის ხარჯზე იზრდება გარდაცვლილთა ზოგადი მაჩვენებელი, დაბერების ტემპიც შედარებით სტაბილური ხდება.

1992 წელს დაწყებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გარემო – მოსახლეობამ დროის უმცირეს მონაკვეთში მიაღწია დემოგრაფიის დაბერების მაღალ დონეს. XX ს-ის მიწურულს ყოველი მეექვსე ადამიანი 59 წელსაა გადაცილებული. მისი მედიანური ასაკი 33.7 წელია, ე.ი. მოსახლეობის ნახევარი აღნიშნულ ასაკზე უხნესია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის გამო დაბერებულ მოსახლეობაში იზრდება მოხუცთა კონტიგენტი (75-89), თუმცა, ხანდაზმულები (60-74), ჯერჯერობით, ყველაზე მსხვილ ასაკობრივ ჯგუფს შეადგენენ.

ყველაზე დიდი პრობლემა, რომელსაც დემოგრაფიული დაბერება ქმნის, **საპენსიო ასაკის მოსახლეობის მატებაა,** რასაც მოსდევს შრომისუნარიანთა ხვედრითი წილის შემცირება და დასაქმებულთა ეკონომიკური დატვირთვის ზრდა. ეს თავის მხრივ, იწვევს ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის შენელებას და, შესაბამისად, ცხოვრების პირობების გაუარესებას. მოსახლეობის დაბერებულ კონტიგენტს, თავისი შრომითი ასაკის შესაბამისად, აქვს კონსტიტუციური უფლება, განსაზღვროს თავისი შემდგომი ცხოვრების წესი. მითუმეტეს, **რომ პროფესიული დაბერება არ ემთხვევა ბიოლოგიურ დაბერებას. პროფესიული შრომისუნარიანობა უფრო ნელა ქვეითდება, ვიდრე ზოგადად შრომისუნარიანობა**. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება დაბერებული მოსახლეობის მიერ შრომითი დასაქმების მოთხოვნისა და დასაქმების უზრუნველყოფის აუცილებლობა.

მოსახლეობის დაბერებული კონტიგენტის ზრდა ამწვავებს თაობათა შორის ბრძოლას: ახალგაზრდობა საზოგადოებაში თავისი ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძვის, საპენსიო ასაკს მიღწეულები კი, დაკავებული ადგილის შენარჩუნებას ცდილობენ. თუმცა, საპენსიო ასაკის შემცირება სახელმწიფოსათვის წამგებიანია, ვინაიდან ეზრდებათ: სამედიცინო მომსახურების, სოცუზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები.

ამდენად, საპენსიო კანონმდებლობის შექმნისას და დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისას, სასურველია გათვალისწინებულ იქნას ქვეყანაში არსებული კრიტიკული დემოგრაფიული ვითარება, რაც უხლოეს ათწლეულში მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზეც აისახა. აუცილებელია: სამი და მეტი შვილის სტიმულირება; სამშვილიანი დედისათვის 55 წლის ასაკში 20 წლიანი სამუშაო სტაჟის შემთხვევაში პენსიის დანიშვნა (სამ შვილზე მეტის ჰყოლის შემთხვევაში კი, წანამატით – პენსიის 20%), **მარტოხელა მოხუცებულთათვის ცენტრებისა და უფასო სამედიცინო პუნქტების გახსნა**.

რას გვპირდება ეკონომიკა?

2011 წლისათვის საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური საპროგნოზო მონაცემები, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, **რომ 2050 წლისათვის ქართველი ერის დემოგრაფიული ვითარება მკვეთრად გაუმჯობესდება**. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური საპროგნოზო მაჩვენებლები (წყარო: საქართველოს ეკონომიური განვითარებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროები), შემდეგნაირად გამოიყურება:

მთლიანი შიდა პროდუქტი. საშუალოვადიან პერიოდში

ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი 7-7.5%-ის ფარგლებშია განსაზღრული.

ინვესტიციები და სამომხმარებლო ხარჯები. 2007 წლის შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში კერძო ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია ექნება და 2011 წლისათვის მშპ-ის 29%-ს გადააჭარბებს. ამასთან, 2008-2011 წლებში სამომხმარებლო ხარჯების რეალური მოცულობა გაიზრდება, ხოლო მის წილობრივ დონეს მშპ-თან მიმართებაში კლების ტენდენცია ექნება.

სავაჭრო ბრუნვა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. მთავრობის წინასწარი გათვლებით, 2011 წლისთვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელის მნიშვნელობა -19%-ის ფარგლებში იქნება.

მონეტარული სექტორი. 2008-2011 წლისათვის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ცვლილება 5-7%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი. მთავრობის ვარაუდით, ამავე პერიოდში მოსალოდნელია ფულის მიმოქცევის სიჩქარის შემცირებაც, როგორც M3-თვის, ისე M2-თვის, ხოლო ფულის მულტიპლიკატორებისათვის კი ზრდის ტენდენციას გვიწინასწარმეტყველებენ.

დასაქმება და უმუშევრობა. პროგნოზული შეფასებით, 2011 წლისათვის, 2006 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე 2.0-2.5%-ი პუნქტით შემცირდება. ეს მაჩვენებელი საყურადღებოა დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღების თვალსაზრისით და დამაიმედებელია. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დემოგრაფიულმა ზრდამ შეიძლება გადააჭარბოს ჩვენს მიერ გათვლილ 6%-ს.

ფისკალური პოლიტიკა 2008-2011 წლებში ითვალისწინებს: ვალის შემცირებას მშპ-ის 20%-მდე; საბიუჯეტო ხარჯები არ გასცილდება მშპ-ის 30%-ს; სახელმწიფო სექტორში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები სრულად მოექცევიან სტანდარტული საბიუჯეტო ანგარიშის ჩარჩოებში; ბიუჯეტის დეფიციტი არ გადააჭარბებს მშპ-ის 2%-ს; დეფიციტის დაფინანსება არ მოხდება ეროვნული ბანკის სესხების გზით.

2008-2011 წლების შემოსავლები ფინანსთა სამინისტროს გათვლებით, ზრდის ტენდენციის ხასიათის მატარებელი იქნება. საპროგნოზო პერიოდში ყოველწლიურად შემოსავლებისა და გრანტების მოცულობა 14-15%-ით გაიზრდება და 2011 წლისათვის მშპ-ის 29%-ს გადააჭარბებს. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებს, მისი ყოველწლიური ნომინალური ზრდა 15-16%-ის ფარგლებში იქნება და 2011 წლისათვის მშპ-ის 28.0%-მდე მიაღწევს. ასევე, ვარაუდობენ – თუ წინა წლებში არაპირდაპირი გადასახადების მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა პირდაპირი გადასახადების მოცულობას, 2008-2011 წლებში პირდაპირი გადასახადების ზრდის ტემპები გადააჭარბებს არაპირდაპირი გადასახადების ზრდის ტემპებს და მათი მოცულობები ერთმანეთს დაუახლოვდება. 2011 წლისათვის არაპირდაპირი გადასახადები მშპ-ის 15.0%-ის, ხოლო პირდაპირი გადასახადები კი მშპ-ის 13%-ის დონეზე იქნება.

გადასახდელები ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში

ნაერთი ბიუჯეტი. მაკროეკონომიკური გათვლების შესაბამისად, ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების პროგნოზი მშპ-ს მიმართ 2008 წლისთვის 29.5%, ხოლო 2009-2011 წლებისათვის – 30% იქნება.

საქონლსა და მომსახურებაზე ნაერთი ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯები 2008 წლისთვის მშპ-ის 13% იქნება, ხოლო 2009 წლისთვის მთავრობის გაანგარიშებით მშპ-ს მიმართ 13.9%-მდე, 2010 წლისთვის – 14.1%-მდე, ხოლო 2011 წლისათვის – 14.7%-მდე გაიზრდება.

სუბსიდიებისა და ტრანსფერების მუხლით გასაწევი ხარჯების მოცულობა 2008 წლისათვის ნავარაუდევია მშპ-ს მიმართ 8.8%-ის დონეზე, 2009 წლისთვის – 8.7%-ს არ გაც-

დება, 2010 წლისთვის 8.4%-ს, ხოლო 2011 წლისთვის – 7.9%-ის დონეზე ჩამოყალიბდება.

კაპიტალური ხარჯების წილი მშპ-ს მიმართ 2008 წლისთვის 7.1%-ს გაუტოლდება. ხოლო, 2009-2011 წლებში კი – 7.0%-ის დონეზე ჩამოყალიბდება.

პროცენტების დასაფარად გაწეული ხარჯები 2009 წელს 0.5%-ის, ხოლო 2010-2011 წლებში 0,4%-ის ფარგლებში განისაზღვრა.

სახელმწიფო ბიუჯეტი: გადასახდელები 2008 წლისთვის საანგარიშო პერიოდის მშპ-თან მიმართებაში განსაზღვრულია 26.3%, 2009 წლისთვის – 26.8%, 2010 წლისთვის – 26.7%, ხოლო 2011 წლისთვის 26.6%-ის დონეზე. ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით, გადასახდელებისა და ხარჯების 2008-2011 წლებზე გადანაწილება შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

შრომის ანაზღაურების მუხლით გასაწევი ხარჯების ოდენობა 2008 წელს მშპ-ს მიმართ 3.2%-ის, 2009 წელს 3.2%-ის, 2010 წელს 3.1%-ის, ხოლო 2011 წელს კი 3%-ის დონეზეა ნავარაუდევი.

სუბსიდიებისა და ტრანსფერების მუხლით გასაწევი ხარჯების ოდენობა 2008 წელს მშპ-ს მიმართ 11%-ის, 2009 წელს 11.3%-ის, 2010 წელს 10.9%-ის, ხოლო 2011 წელს კი 10.4%-ის დონეზეა ნავარაუდევი.

კაპიტალური ხარჯები 2008 წლისათვის მშპ-ს მიმართ 5%-ის, ხოლო 2009-2011 წლებისათვის 4.9%-ის დონეზეა ნავარაუდევი.

ადგილობრივი ბიუჯეტი: გადასახდელები 2008-2011 წლებისათვის ზრდის ტენდენციითაა განსაზღვრული. კერძოდ, 2008 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯები მშპ-ს 6% იქნება, ხოლო 2009-2011 წლებში 6.3-6.4%-ის დონეზე შენარჩუნდება.

შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული ხარჯები ადგილობრივ ბიუჯეტში 2008-2011 წლებში მშპ-ის მიმართ 0.5%-ის დონეზეა განსაზღვრული.

სხვა საქონელსა და მომსახურების მუხლით ადგილობრივი ბიუჯეტებიდან 2008 წელს იგეგმება ხარჯები მშპ-ის 2.8%-ის, ხოლო 2009 წელს 3.3%-ის ოდენობით, 2010-2011 წლებში კი, შესაბამისად, 3.2 და 3.3%-ის დონეზე შენარჩუნებით.

სუბსიდიებისა და ტრანსფერების მუხლით გასაწევი ხარჯების ოდენობა 2008-2010 წლებში მშპ-ს მიმართ 0.6%-ის, ხოლო 2011 წელს 0.5%-ის დონეზე ჩამოყალიბდება.

კაპიტალური ხარჯების მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები ადგილობრივი ბიუჯეტებიდან 2008-2011 წლებისათვის მშპ-ს მიმართ 2.1%-ის დონეზე ჩამოყალიბდება.

სახელმწიფო ვალის სტრატეგია: საგარეო ვალის მომსახურება 2008-2011 წლებში გაანგარიშებულია შემდეგი დაშვებებით: გათვალისწინებულია საგარეო ვალის რესტრუქტურირების პარიზის კლუბის 2001, 2004 წლების შეთანხმებათა პირობები; არაა ასახული მომავალში ასაღებ ვალდებულებათა საპროგნოზო მაჩვენებლები; ნავარაუდევია, რომ თურქმენეთის ვალი სრულად დაიფარება 2008 წლის დასაწყისში.

საშინაო ვალის მდგრადობა და სტრატეგია: **სამოქმედო გეგმა:** ე.წ. „ისტორიული ვალების“ სრული ინვენტარიზაცია და რაციონალური ანაზღაურების მექანიზმის განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი: 2030 წლის 16 მარტამდე განხორციელდება ეროვნული ბანკის მიმართ მთავრობის დავალიანებისა და მომავალი 20-25 წლების განმავლობაში „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებული სავალო ვალდებულებების სრული დაფარვა.

რეფორმების მოსალოდნელი მიღწევები 2008-2011 წლისთვის და 2050 წლის შემდეგ

საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტული მიმართულებებისა და შესაბამისი რეფორმების განხორციელების შემთხვევაში, ჩვენი მოსაზრებით, ქვეყანა მიაღწევს:

2011 წელს დემოგრაფიული ვითარება პოზიტიურ მხარისკენ შემოტრიალდება და 2050 წლისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, ქართველები არ იქნებიან მიჩნეული როგორც გადაშენების ზღვართან მისული ერი, ამასთან, აღნიშნული პერიოდის რეფორმები ხელს შეუწყობს კონფლიქტური კერების აღმოფხვრას და სახელმწიფო იურისდიქციის გავრცელებას მის მთელ ტერიტორიაზე; ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებას და მასში საქართველოს როლის ზრდას; სახელმწიფო მართვისა და ხარჯვის მაღალეფექტურობას (ელექტრონული მთავრობა); ეროვნულ ტრადიციებსა და საერთაშორისო სამართლიანობის პრინციპზე დამყარებული მართლმსაჯულების ჩამოყალიბებას; დეცენტრალიზებულ

უფლებებსა და პიროვნულ პასუხისმგებლობაზე დამყარებულ თვითმმართველობის ორგანოების შექმნას; ქმედუნარიანი თავდაცვითი სისტემის და სამხედრო ინდუსტრიის ჩამოყალიბებას; **რაციონალური სამართალდამცავი სისტემის ჩამოყალიბებას და ქვეყანაში საზოგადოებრივი კონტროლის ამაღლებას; ეკონომიკური თავისუფლების ამაღლებას და ვირტუალური სოციალურ-ეკონომიკური სარგებლიანობის განსაზღვრას; ეკონომიკურ მიუკერძოებლობას და მინიმალურ ჩარევას; ქვეყნის ეკოლოგიური ვითარების გათვალისწინების საფუძველზე მცირე ელექტროენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებას და ბუნებრივი ენერგორესურსების რაციონალურ გამოყენებას; მომხმარებელზე ორიენტირებულ მდგრადი ენერგეტიკული სისტემის შექმნას; ფინანსურ მდგრადობას და წამახალისებელ საინვესტიციო გარემოს; ეკონომიკურად დეპრესიული რაიონების გამოთანაბრებას (2011 წ.) და მათი ეკონომიკურად აქტიურ ზონებად გადაქცევას; ეკოლოგიურად დაბინძურებული კერების აღმოფხვრას და მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფების უგულებელყოფას; სიღარიბის დონის მაქსიმალურ შემცირებას (2011 წ.) და შიდა ეკონომიკური პოტენციალის საფუძველზე უმუშევრობის დონის 10%-მდე შემცირებას (2050 წ.); ეროვნულ ფასეულობებზე დამყარებული და მსოფლიო მოთხოვნების გათვალისწინებით მდგრადი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებას; მაღალი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების და ლაბორატორიების შექმნას; კონკურენტუნარიანი კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას; ღია და ტოლერანტული გარემოს შექმნას; ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის გაზრდას (2011 წ.) და მასში სრულ გაერთიანებას.**

ზემოთ მოცემული შედეგების მისაღწევად საქართველოს საპატრიარქოს, ხელისუფლების, მთავრობის, საზოგადოებისა და ყველა პიროვნების მოქმედების ცენტრში უნდა იყოს პრინციპები: **ერის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება; მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცება; პიროვნული თავისუფლების აღიარება და მისი ძირითადი უფლებების ხარისხის ზრდა; პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება; მცირე და საშუალო სამეწარმეო საქმიანობის განვითარება; ტერიტორიული მთლიანობის სრული და უმოკლეს პერიოდში აღდგენა.**

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების აღსრულების მიზნით, საპატრიარქომ, კერძო და სამთავრობო ორგანიზაციებმა, ცალკეულმა პიროვნებებმა უნდა უზრუნველყონ თავისი მასშტაბური, მცირე და მოკლევადიანი საქმიანობის მისადაგება შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებთან:

„მცირე და მოკლევადიანი საქმიანობა“. ყოველი ინიციატივა და საქმიანობა უნდა გამომდინარეობდეს რელიგიის, ერის და სახელმწიფოს ინტერესებიდან. გადაწყვეტილების ალტერნატივების არსებობის შემთხვევაში, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს უახლოეს პერიოდში მიღებულ სარგებლიანობას.

„სასარგებლო და დემოკრატიული საქმიანობა“. ყოველი ინიციატივა და საქმიანობა უნდა გამომდინარეობდეს რაციონალური მომგებიანობის პრინციპიდან, რომელიც მიიღწევა და გულისხმობს: საქმიანობის გამჭვირვალობას დასაშვებ ნორმამდე; მაღალ სამოქალაქო კონტროლს: უწყებათა საჯარო ანგარიშვალდებულებას; მმართველობის დეცენტრალიზაციას და მმართველობის დაბალ იერარქიულ საფეხურზე კომპეტენციათა დონის ამაღლებას.

„მიზნობრივი პროგრამები“. უნდა გამომდინარეობდეს რელიგიური, დემოგრაფიული და ეკონომიკური ინტერესებიდან, მისი მიზნობრიობა მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს და განპირობებული უნდა იყოს შემდეგი პრინციპებით: რესურსების და მომსახურების მიწოდება პირდაპირ მოსარგებლეზე - პრინციპით: „დახმარება უკავშირდება მოსარგებლეს“; „თანაბარი დახმარების პრინციპის“ (დახმარება ყველას, მათ შორის შეძლებულებს) შეცვლა „სამართლიანი დახმარების პრინციპით“ (დახმარება მიზნობრივად უმწეოებს და ხელმოკლეებს).

„მიზნობრივი ხარჯვა“ – უნდა გამომდინარეობდეს მოსალოდნელი შედეგების პრინციპიდან, კერძოდ: განსაკარგი რესურსების განაწილება ეროვნული ინტერესების შესაბამისად; ქვეყნის ფინანსური რესურსების ფრაგმენტირების შესაძლო მიზეზების აღმოფხვრა; მოქნილი და შექმნილი ვითარების ადექვატური ბიუჯეტის შემუშავება.

„კარგი პრაქტიკა“. ყოველი ინიციატივა და საქმიანობა უნდა გამომდინარეობდეს ერის და მართლმადიდებლური სარწმუნოების ინტერესებიდან, რომელიც გულისხმობს: ეროვნული ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე, საერთაშორისო პრაქტიკის, გამოცდილებების დანერგვას საზოგადოების ცხოვრებაში და ეკონომიკაში; საერთაშორისო ფინანსური რესურსების გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც შიდა რესურსები არასაკმარისია.

„ინტერესთა თანაარსებობა“. ყოველი ინიციატივა და საქმიანობა უნდა გულისხმობდეს: ქვეყნის ერთიან ინტერესებთან შეთანხმებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობას, პირადი ინტერესების დათმობას; კავკასიის რეგიონში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებას და ამ პროცესების კვალობაზე ეროვნული და ეთნიკური ინტერესების ჰარმონიზაციას.

„რელიგიური თანაარსებობა“. ყოველი ინიციატივა და საქმიანობა უნდა გულისხმობდეს: ტრადიციული რელიგიების თანაარსებობას ძირითადი რელიგიის სახელმწიფო დონეზე აყვანის კვალობაზე.